



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №2

2014 წლის 28 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში (ცვლადი, 06/02/2013) შევიდეს ცვლილება, კერძოდ,

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №56 დადგენილების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

3. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი დანართის შესაბამისად.“

4. დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“

5. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის:

ა. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“

ბ. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.“

გ. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება

შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
4. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარების პროგრამა;
5. ტერიტორიული მთლიანობისათვის ზრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა;
6. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
7. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;
8. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
9. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
10. ჰუმანიტარული ორგანიზაციების, ეროვნული სკრინინგ ცენტრის თანადაფინანსების, ცენტრის დასკვნის საფუძველზე პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებაში დამატებითი გამოკვლევისათვის ტრანსპორტირების, სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფის პროგრამა;
11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა;“

დ. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)ი.პ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის გამგეობის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.“

ე. მე-3¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ჰუმანიტარული ორგანიზაციების, ეროვნული სკრინინგ ცენტრის თანადაფინანსების, ცენტრის დასკვნის საფუძველზე პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებაში დამატებითი გამოკვლევისათვის ტრანსპორტირების, სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფის პროგრამა - ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ ლანჩხუთში მოვლინებული სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, მათ მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების დროს გახარჯული ელექტროენერჯის ქვითრის წარმოდგენა, პაციენტის დამატებითი გამოკვლევისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების საჭიროების შემთხვევაში - ცენტრის დასკვნა სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის მითითებით, პაციენტის საბანკო ანგარიში, გამქირავებელს და დამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულება, წითელი ჯვრის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში;“

ვ. მე-3¹ მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დასკვნა.“

ზ. მე-3¹ მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარების პროგრამა - განცხადება, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.“

თ. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4 სამსახური, ა(ა)ი.პ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური

დგომარეობის შესახებ და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს
ენციპალიტეტის გამგებელს.“

ი. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ა(ა)ი.პ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის
სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის
შემთხვევაში გამგებლის ბრძანებით განისაზღვრება მათი მოძრაობის მარშრუტები. პროგრამის
განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაეცემა სუბსიდიის სახით.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი